პროექტი

განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის № 72 განკარგულებაში –„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ტ” ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №72 განკარგულებაში – “ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ (დანართი თან ერთვის).
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართი ჭავჭავაძის ქ №4.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი: ნ.დუმბაძე

დასკვნა

განკარგულების პროექტთან

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27დეკემბრის №72 განკარგულებაში – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ დაკავშირებით

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული პროექტი - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №72 განკარგულებაში - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე“ შეესაბამება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმადაც საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიეკუთვნება საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცება. განკარგულების პროექტი ასევე შესაბამისობაშია 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს მიეკუთვნება საკრებულოს განკარგულება.

იურიდიული სამსახურის უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი: *მარინე ბერაძე*

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ანტონ ხუნდაძეს

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის

შემსრულებელის თამაზ ჯინჭარაძის

განმარტებითი ბარათი

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“- შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგეობა განსახილველად წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს - „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №72 განკარგულებაში – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებისა შეტანის თაობაზე“.

გეგმის პროექტში დეტალურად არის აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვების ერთგვაროვანი ჯგუფები, (საქონელი, მომსახურეობა, სამუშაო) შესყიდვის მეთოდები, ვადებისა და მონეტარული ზღვრების სრული დაცვით. გეგმის მიხედვით მუნიციპალიტეტის გამგეობა 2014 წელში განახორციელებს ადგილობრივი ბიუჯეტით **474 959** ლარის შესყიდვას , ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტით - **6 113 532** ლარის.

აღნიშნულის გათვალისწინებით განსახილველად წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №72 განკარგულებაში – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ ცვლილებებისა შეტანის თაობაზე“

საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი – ვლადიმერ გოგიბერიძე.

მუნიციპალიტეტის გამგებელის

მოვალეობის შემსრულებელი : *თამაზ ჯინჭარაძე*